მედიაციის ინსტიტუტი – სიახლე ქართულ მართლმსაჯულებაში

მაღე ქართულ სასამართლო სისტემაში ახალი ინსტიტუტი- მედიაცია დაინერგება.

მედიაციის ინსტიტუტი სიახლეა ქართული სასამართლო სისტემისთვის.

სასამართლო მედიაციის შემოღების შედეგად, ისეთი კატეგორიის საქმეები, როგორიცაა: საოჯახო, სამეზობლო, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების გარკვეული ნაწილი, სადაც მხარეებს შორის მორიგების ალბათობა არსებობს, გადაეცემა მედიატორს.

მედიატორი იქნება ნეიტრალური პიროვნება, რომელიც საქმეში მონაწილე ორივე მხარეს ზუსტად აუხსნის საქმის ვითარებას და შეეცდება, მხარეები მოარიგოს.

მედიაციის ინსტიტუტის მთავარი პრიორიტეტია მხარეების ჩართულობა თავიანთი საქმის მოგვარების პროცესში. მედიატორის დახმარებით, მხარეები თავად იღებენ გადაწყვეტილებას საქმესთან დაკავშირებით.

მედიაციის ისტორია

მედიაციის ინსტიტუტი ფართოდ გავრცელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში გასული საუკუნის 60-იან წლებში. იგი, თავდაპირველად, საოჯახო და შრომით დავებზე გამოიყენებოდა. შემდგომში კი ბიზნესმაც უკვე აქტიურად დაიწყო მისი გამოყენება.

დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების ფონზე, ამერიკის შეერთებულ შტატებში დავების მხოლოდ 5 პროცენტი აღწევს სასამართლომდე. გერმანიაში 10 პროცენტი, ევროპის ქვეყნებში მედიაციით წყდება საქმეების 40-80 პროცენტი. ხოლო მსოფლიოში დავების 75-80 პროცენტი მედიაციით სრულდება.

მედიაცია ფართოდ გავრცელდა ავსტრალიაში და კანადაში, ხოლო 80-იან წლებიდან უკვე დიდ ბრიტანეთში. უამრავ ქვეყანაში მედიაცია არის სამართლებრივი სისტემის შემადგენელი ნაწილი.

მეტიც, ამერიკაში არსებობს დავების გადაწყვეტის ეროვნული ინსტიტუტი, რომელიც მუშაობს მედიაციის ახალი ფორმების შემუშავებაზე, ასევე არსებობს კერძო და სახელმწიფო მედიაციის ბიუროები.

ავსტრალიაში 1975 წელს შეიქმნა არბიტრების და მედიაციის ასოციაცია.

2004 წლიდან სასამართლო მედიაცია განსაკუთრებით პოპულარული გახდა გერმანიაში.

სასამართლო და არასასამართლო მედიაცია

არსებობს მედიაციის ორი სახე: სასამართლო და არასასამართლო მედიაცია.

თავად სიტყვიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო მედიაცია გულისხმობს მედიაციის პროცესის წარმართვას თავად სასამართლოში. სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი არსებობს ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და ბევრ სხვა ქვეყანაში.

საფრანგეთში მედიატორი გათვალისწინებულია თვით სასამართლო სისტემის შიგნით, მედიაციის პროცესის წარმართვა შესაძლებელია დაევალოს ფიზიკურ პირს, ასევე ასოციაციას. მოსამართლის როლი მედიაციის პროცესში შეზღუდულია და შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ განსაზღვროს, განეკუთვნება თუ არა საქმე მედიაციით გადასაწყეტ დავას.

გერმანიაში სასამართლო მედიაციისას მედიატორები არიან მხოლოდ მოსამართლეები, რომლებსაც გავლილი აქვთ სპეციალური კურსი და ისინი არ იღებენ მონაწილეობას საქმის არსებით განხილვაში.

ავსტრალიაში კერძო მედიატორები, ძირითადად, არიან გადამდგარი მოსამართლეები, ხოლო სასამართლო მედიატორები კი მოქმედი მოსამართლეები.

როგორი იქნება მედიაციის ქართული მომავალი. ამ თემაზე ქართველმა მოსამართლეებმა, ადვოკატებმა და უნივერსიტეტის პროფესურამ უკვე დაიწყო მუშაობა.

გასულ კვირას, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ თემასთან დაკავშირებით შეხვედრა გაიმართა. უკვე შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დავების ალტერნატიული მოგვარების ნაციონალური ცენტრი, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც მედიაციის შემოღების ინიციატივას უკვე კანონპროექტის სახეს მისცემს.

დღეს ნაფიც მსაჯულთა პირველი სასამართლო სხდომა გაიმართება

2011 წლის 9 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში იწყება ნაფიც მსაჯულთა განსჯადი პირველი სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა, დამამძიმებელ გარემოებებში გაზრახ მკვლელობისა და ჯგუფური ყაჩაღობის ბრალდების საქმეზე. თანამედროვე ქართული მართმსაჯულების ისტორიაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხდომა პირველად იმართება, სხდომა საჯაროა და მასზე დასწრების საშუალება მიეცემა საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირს.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის სხდომაზე უკვე შეირჩა 12 ნაფიცი მსაჯული და სამი სათადარიგო მსაჯული, მათი შემადგენლობა კონფიდენციალურია. ნაფიც მსაჯულთა უსაფრთხოების მიზნით, სასამართლო სხდომაზე დამსწრე პირებს და პროცესის მონაწილეებს ეკრძალებათ მსაჯულთა ვინაობის გამხელა.

ბავშვი დედას დაუბრუნდა

თბილისის სააპელაციო სასამართლოში განნა სმირნოვას სამოქალაქო დავა დედის სასარგებლოდ დასრულდა. 8 წლის ლუკა ჭაფანძე დედას დაუბრუნდა.

საქმე მასალებით მიხედვით, ქართველ მამასა და უკრაინელ დედას შორის სადავო, მათი საერთო შვილი ლუკა ჭაფანძე გახდა. 8 წლის ლუკა უკრაინის მოქალაქეა. მამამ შვილი 1 წლის წინ საქართველოში იმ პირობით წამოიყვა ნა, რომ ბავშვს დედასთან რამდენიმე თვეში დააბრუნებდა, თუმცა მან პირობა დაარღვია, ვაჟიშვილი საქართველოში ბაბუის და ბიძის სახლში დატოვა, თავად კი რუსეთში გაემგზავრა.

დედის მოთხოვნის მიუხედავად, მამა შვილის დაბრუნებაზე უარს აცხადებდა. უშედეგო, მრავალჯერადი მცდელობის შემდეგ, ლუკას დედამ საკუთარი უფლებების სასამართლო წესით დაცვა გადაწყვიტა. თბილისის საქალაქო სამართლომ მოთხოვნა ბავშვის დედისათვის დაბრუნების თაობაზე არ დაკმაყოფილა. განნა სმირნოვამ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და განნა სმირნოვას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილა. სასამართლომ 8 წლის ლუკა ჭაფანძის საქართველოში ყოფნა „ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ კონვენციის საფუძველზე, არამართლზომიერ დაკავებად შეაფასა და ბავშვი დედას დაუბრუნა.

უკრაინელი მოსამართლეები სტუმრად საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს უკრაინის დელეგაცია ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ, ქ. კიევის სოლომენსკის რაონული სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები. შეხვედრა დელეგაციის სურვილით ჩატარდა. დელეგაციას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრები კახა კობერიძე და რამაზ ჟღენტი შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი ქ. კიევის სოლომენსკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის და მოსამართლეებისთვის საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმების გაცნობა იყო. ისაუბრეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებაზე, საქართველოში სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის მთავარ მიმართულებებსა და რეფორმის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე. უცხოელმა კოლეგებმა დადებითად შეაფასეს საქართველოში გატარებული სასამართლო რეფორმა, დეტალურად დაინტერესდნენ რეფორმის ცალკეული საკითხებით, და აღნიშნეს, რომ საქართველოს პრაქტიკა მათთვის მნიშვნელოვანია. შეხვედრისას დელეგაციის წევრებმა ქართველი კოლეგებისგან მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღეს.

კონსტანტინე კუბლაშვილი ამერიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს შეხვდება

5-12 ნოემბრის ჩათვლით, ქართველი მოსამართლეები აშშ იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ვიზიტის ფარგლებში ქ. ვაშინგტონს ეწვივნენ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი მოსამართლეებთან და იუსტიციის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ამერიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და ამერიკელ მოსამართლეებს შეხვდებიან.

ამერიკელი კოლეგებისგან ქართველი მოსამართლეები განაჩენის მომზადებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე მიიღებენ ინფორმაციას.

საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის ფარგლებში, დიდი ყურადღება ექცევა კვალიფიციური მოსამართლეების მომზადებას. სასამართლო გადაწყვეტილების წერის ტექნიკა კი მოსამართლის კვალიფიციურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ამერიკული პრაქტიკის გაცნობა ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი გამოცდილება იქნება ქართველი მოსამართლეებისთვის.

მეუღლის მკვლელი პატიმრობაში რჩება

თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით, მეუღლის განზრახ მკვლელობისთვის ბრალდებული სრულად აგებს პასუხს. სააპელაციო პალატამ ელენე ჯავახიას სისხლის სამართლის საქმის განხილვა დაასრულა.

საქმის მასალების თანახმად, 15 წლის ე. ჯავახია არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა კ. ვ., რომელიც მან ,,სკაიპის“ მეშვეობით გაიცნო. ერთთვიანი თანაცხოვრების პერიოდში, მათ შორის კონფლიქტი რამდენჯერმე წარმოიშვა.

2010 წლის 29 სექტემბერს, მორიგი კამათის დროს, ჯავახიას განმარტებით, იგი მეუღლეზე განაწყენდა და საკუთარი მშობლების სახლში დაბრუნება გადაწყვიტა. მეუღლემ მას სახლიდან წასვლის უფლება არ მისცა, რის გამოც მათ შორის დაწყებული კამათი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფაში გადაიზარდა.

ჩხუბის დროს ე. ჯავახიამ შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით, მეუღლეს სამზარეულოს დანით გულმკერდის მარცხენა არეში სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა. მიყენებული ჭრილობისგან კ. ვ. ადგილზე გარდაიცვალა.

პირველი ინსტანციის სასამართლოში ე. ჯავახიამ წარდგენილ ბრალდებაში თავი არ ცნო დამნაშავედ და ღია სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მისი მეუღლე მასზე მუდმივად ეჭვიანობდა და მეგობრებთან მობილური ტელეფონით კონტაქტს უკრძალავდა. ქმრის აკძალვის მიუხედავად, ე. ჯავახია მაინც ახერხებდა თავის ძველ მეგობართან სატელეფონო კონტაქტს. ეს უკანასკნელი კი, მეუღლესთან გაყრას და მასთან თანაცხოვრებას ჰპირდებოდა.

საქალაქო და სააპელაციო ინსტანციებში ბრალდებული გამართლებას იმ მოტივით ითხოვდა, რომ მან მეუღლის მკვლელობა საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, აუცილებელი მოგერიების მიზნით ჩაიდინა.

სასამართლომ არ გაიზიარა განსასჯელის ჩვენება, ვინაიდან გამოკვლეული მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმეთა ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, სასამართლო-სამედიცინო და ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით და საქმეში არსებული სხვა მასალათა ერთობლიობით, უტყუარად დადასტურდა ე. ჯავახიას ბრალეული ქმედება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი, სადაც სრულად იყო გაითვალისწინებული მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, რის საფუძველზეც ე. ჯავახიას 15-წლიანი თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა. კანონის მოთხოვნის თანახმად, არასრულწლოვანს სასაჯელი 1/3 შეუმცირდა და საბოლოოდ, მას 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა.